ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

**მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა**

თარიღი: 24 სექტემბერი, 2019 წელი

დრო: 15:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1.
2. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
4. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშრების გაერთიანება
5. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ნინო დიდბეიძე - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

განსახილველი საკითხები:

1. ეროვნული პლატფორმის წესდების ცვლილების პროექტი
2. ეთიკის კოდექსის ცვლილების პროექტი
3. საერთო კრების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები და ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატების დასახელება
4. სხვა საკითხები

მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, რაისა ლიპარტელიანმა. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად კოორდინატორმა ისაუბრეს იმ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა პლატფორმის წესდებაში და რომელთა კენჭისყრაც უნდა მოხდეს საერთო კრებაზე. წესდების ცვლილების პროექტი გადაეგზავნათ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს. ჯგუფის კოორდინატორმა სთხოვა ცვლილებების პროექტების ავტორს, პირველი ჯგუფის კოორდინატორს, ლაშა ტუღუშს, დეტალურად განემარტა ყველა ცვლილება თუ დამატება, რომელიც ცვლილებების პროექტშია ასახული. ჯგუფის შეხვედრაზე, ლაშა ტუღუშმა, დეტალურად ისაუბრა იმ მიზეზებსა და გარემოებებზე, რომლებმაც გამოიწვიეს ცვლილებების აუცილებლობა. პუნქტობრივად განხილულ იქნა ყველა შესწორება თუ დამატება.

იმ ფაქტმა, რომ ფორუმმა შეიმუშავა ახალი ეთიკის კოდექსი, ეროვნული პლატფორმები ვალდებულნი იყვნენ, თავიანთი კოდექსი მოეყვანათ შესაბამისობაში აღნიშნულ დოკუმენტთან. შესაბამისად, კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც მომზადდა და რომელიც უნდა დამტკიცდეს საერთო კრებაზე , არის ცვლილებების პროექტი ეთიკის კოდექსში, რომელიც ასევე განიხილა ჯგუფმა და განიმარტა ყველა საკითხი. აღნიშნული დოკუმენტიც წესდებასთან ერთად გადაიგზავნება საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყველა წევრ ორგანიზაციასთან, რათა წინასწარ გაეცნონ იმ დოკუმენტებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საერთო კრებაზე.

ჯგუფის შეხვედრაზე, ორგანიზაციის საქმიანობისა და კონკრეტული პროექტების შესახებ მოკლედ ისაუბრა წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელმა, რომელმაც რიგ საკითხებში პლატფორმასთან აქტიური თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

მნიშვნელოვანი საკითხია პლატფორმის მიერ გრანტების გაცემის საკითხი, რომელიც წელს პირველად განხორციელდება, იმ ცვლილებების საშუალებით, რომელიც ფორუმმა მიიღო მიმდინარე წელს. ჯგუფის კოორდინატორმა აღნიშნული პოზიტიური ცვლილების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია ჯფუფის შეხვედრაზე წარმოდგენილ სზოგადოებას.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე